



ვლადიმერ შვერაცა,
ელდარ თაზგერიძე

იოანე იალღუზიძე (1770-1830)

მე-18 საუკუნის 40-იან წლებში, რუსეთში მოღვაწე ქართველთა ინიციატივით და თაოსნობით, მეფის ბელისუფლებამ დააარსა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ოსეთში განათლებისა და ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. რუსეთის მთავრობამ, ოსმალეთი რომ გაეღიზიანებინა, თავდაპირველად „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ ბევრი ქართველი სასულიერო პირი ჩართო და ხელმძღვანელადაც ქართველი დანიშნა. ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთმა ოსმალეთი დაამარცხა და სპარსეთი და თურქეთი „შეურიგდა“ რუსეთის გაბატონებას კავკასიაში, მან ქართველი სასულიერო პირები „ოსეთის კომისიაში“ შეცვალა რუსებით და შეუდგა კავკასიის მთის ხალხთა გარუსებას.

მეფის რუსეთის მოხელეები ძალადობის სხვადასხვა საშუალებებითან ერთად არარუსულენოვანი მოსახლეობის ინტელექტუალური და სულიერი გარდაქმნის იარაღად ეკლესიასა და სკოლას იყენებდა. კავკასიის მოსახლეობის კოლონიზაციის დასაქმებისათვის მეფის თვითმპყრობელობა სკოლებისა და ეკლესიების ქსელის გაშლას აჩქარებდა. კავკასიის მთის ხალხთა დაპყრობის პოლიტიკა ოსეთის ზედაფენებზე დაყრდნობით სკოლების გამოყენების გზით ხორციელდებოდა.

1814-1815 წლებში ახლად აღდგენილ „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ მოღვაწეობდა იოანე იალღუზიძე, რომელიც, მკვლევარ გ. თოგოშვილის მიხედვით, 1775 წელს დაბადებულია სოფელ ზალდეში (დღევანდელი ე. წ. სამხრეთ ოსეთი) და გაბარაევეების გვარს ეკუთვნოდა (ბ. თოგოშვილი, 1969, გვ. 30)

ბ. ბიგულაევის მიხედვით, იგი 1770 წელს დაბადებულია ჯავაში. მეცნიერი თავის შრომაში აღნიშნავს, რომ იოანე ცნობილ მემამულეთა გვარს ეკუთვნოდა სამხრეთ ოსეთში (Б. Бигулаев, 1952, Стр. 25). აქვე უნდა დავძინოთ, რომ პროფ. ტ. სარიშვილს იგი ოს სახალხო მოღვაწედ და მღვდლის ოჯახში დაბადებულად მიაჩნია (ტ. სარიშვილი, 1962, გვ. 81). იგი გაქართველებული ოსია, რომელმაც სამსახური ერეკლე მეორესთან დაიწყო. ერეკლე მეორემ მას აზნაურობა უბოძა. იგი იყო იოანე წილკნელის (ქარუმიძის) გაზრდილი. იალღუზიძეს წილკნელთან ქართულ ენაზე უსწავლია რიტორიკა, გრამატიკა, ფიზიკა, მეტაფიზიკა და კატეგორია (მ. ბერძნიშვილი, 1983, გვ. 45).

„კალმასობაში“ იოანე იალღუზიძე ასეა დახასიათებული: „იოანე ოსყოფილი, რომელმაც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფა“ („კალმასობა“, II, გვ. 197).

იოანე იალღუზიძე იოანე ბაგრატიონის ვაჟის, გრიგოლის აღმზრდელი ყოფილა. გრიგოლის ხელნაწერ ფოლიანტში აღმოჩნდა იალღუზიძის ორი ლექსი, მიძღვნილი იოანეს მეუღლე ქეთევანისადმი. იალღუზიძის ორიგინალურ პოეტურ ნაწარმოებთაგან უფრო მნიშვნელოვანია მის მიერ ქართულ ენაზე შესრულებული პოემა „იალღუზიანი“, რომელიც ოსთა ლეგენდარული მეფის ალღუზონის ლაშქრობებსა და საქმიანობას ეხება. პოემის შინაარსის გადმოცემას და გარჩევას ჩვენ არ შევუდგებით და მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით,

რომ იოანემ ქართულ ენაზე პოეტური ნაწარმოები შექმნა, რომელშიც ოსი ხალხის ყოფა და ზნე-ჩვეულებებია ასახული. პოემა მრავალჯერ იქნა გამოცემული (გ. თოგოშვილი, 1969, გვ. 33). ვფიქრობთ, რომ ამ პოემის გამოქვეყნების შემდეგ მიიღო იოანემ გვარი იალღუზიძე.

ოსური კულტურის განვითარების საქმეში იალღუზიძის საქმიანობა დიდ მნიშვნელობას იძენს იმ დროიდან, როცა მან მუშაობა დაიწყო „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ მთარგმნელად. იოანე თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა, რისთვისაც საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს წარდგინებით 1821 წლის 3 სექტემბერს საგუბერნიო მდივნის ჩინი მიიღო და დაენიშნა ხელფასი წელიწადში 118 მან. და 80 კაპიკი ვერცხლით (მ. ბერძნიშვილი, 1983, გვ. 46).

1820 წლის თებერვალში იალღუზიძე დაინიშნა ოსური და ქართული ენების მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში იმ ოსი მოსწავლეებისათვის, რომელთა გაგზავნა კურსის დასრულების შემდეგ ნავარაუდები იყო ოსეთში. სემინარიაში მუშაობის პერიოდში მან ნათლად იგრძნო ოსური დამწერლობის შექმნის აუცილებლობა. მართალია, 1798 წელს რუსული საეკლესიო დამწერლობის ბაზაზე მოზდოკის ეპისკოპოსის გაიოზის (თელავის სემინარიის ყოფილი რექტორი) მიერ ოსი ეროვნების მღვდელ პავლე გენცაროვის დახმარებით გამოცემულ იქნა ოსური ანბანი და პირველდაწყებითი საკითხავი წიგნი, მაგრამ იგი არასრულყოფილი იყო და ფართოდ ვერ გაიდგა ფესვები.

1820 წლის მაისში იალღუზიძე საქართველოს ეგზარქოსს მოახსენებდა, რომ დიდი ხანია სურდა ოსთათვის სასწავლო და სასულიერო წიგნები ეთარგმნა, მაგრამ არც წამქეზებელი ჰყავდა და არც საიმისო სახსრები გააჩნდა. თქვენი დავალებით - განაგრძობდა იგი - ვთარგმნე ცისკრის და მწუხრის ლოცვანი, მოკლე კატეხიზმო, ქრისტიანული ზნეთსწავლულება, რომლებიც დაიბეჭდა ქართულად და ოსურად ქართული საეკლესიო ანბანის საფუძველზე, შემდეგ ვთარგმნე თქვენი დავალებით საღვთისმეტყველო ლიტურგია (მ. ბერძნიშვილი, 1983, გვ. 46).

დასასრულ იგი მოახსენებდა ეგზარქოსს, რომ შეადგინა ოსური ანბანი, რომელიც 37 ნიშნისაგან (ლიტერისაგან) შედგება, საიდანაც 30 ქართულია, ხუთი - ახლად შექმნილი, ორი კი - რუსული ანბანიდანაა შემოტანილი. იოანე ითხოვს, რომ დაიბეჭდოს ეს ანბანი, რათა ოს ახალგაზრდობას საშუალება ჰქონდეს მშობლიურ ენაზე ისწავლოს.

იალღუზიძემ ოსური ანბანის ორი ვარიანტი შეადგინა, ერთი ხუცურის დამწერლობის საფუძველზე. მეორე კი - მხედრულის. ხუცურით საეკლესიო წიგნები უნდა თარგმნილიყო, მხედრულით კი - საერო. გაიოზის ანბანთან შედარებით იალღუზიძის ანბანში არ იყო დიაკრიტიული ნიშნები, არც შედგენილი ასოები. მასში ყველა ბგერა ერთი ნიშნით არის გამოხატული.

1821 წელს იალღუზიძემ თავის მიერვე შედგენილი შრიფტის საფუძველზე თბილისში გამოსცა ოსური ანბანი. იგი ხუცურის საფუძველზე შედგენილი და მიზნად ისახავდა, ოსი ახალგაზრდობისათვის თავის ენაზე წერა-კითხვის შესწავლის საშუალება მიეცა (Дз. Тугкаев, 1955, стр. 301-303). ეს იყო ერთადერთი ნაბეჭდი სასწავლო წიგნი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ოსეთში. ამ წიგნებით ასწავლიდნენ ოსეთში მომუშავე მღვდლები და მეღავითნენი ოსთა ბავშვებს

წერა-კითხვას XIX საუკუნის პირველ ნახევარში. არსებობს ცნობები, რომ 1826-27 წლებში ბეყმარში ბლადოჩინი ათანასე მაჭავარიანი, ჯავაში - ცერაძე, ქეშელთაში - მედავითნე იოსებ იალღუზიძე, მღვდელი დავით ოქროპირიძე (შალრან დვალეთში) და სხვ. ასწავლიდნენ ოს ბავშვებს წერა-კითხვას ოსურ ენაზე. საფუძველი ამ სწავლებისა იყო იოანე იალღუზიძის დასახელებული ანბანი.

1823 წელს იოანემ დაამთავრა სახარების თარგმნა და სთხოვა ეგზარქოს იოანეს, საშუალება მიეცა ქართულისა და ოსურის კარგად მცოდნე ოსთა მეშვეობით შეემოწმებინა თარგმანის სისწორე. ეგზარქოსმა მოიწონა ეს წინადადება და დაავალა შალვა ერისთავს, მოეწვია ქართულის კარგი მცოდნე ორი ქრისტიანი ოსი და მათთან ერთად მოესმინა სახარების ტექსტი. ერისთავი გ. ბიბილოვთან ერთად გაჰყვა იალღუზიძეს პატარა ლიახვის სათავეში მცხოვრებ ოსებთან და შემდეგნაირად შეამოწმეს ნათარგმნის სისწორე: გ. ბიბილოვი კითხულობდა ქართულ ტექსტს, იალღუზიძე - ოსურს, შალვა ერისთავი კი ამას რუსული სახარებით ამოწმებდა (გ. თოგოშვილი, 1969, გვ. 35).

შემოწმების შემდეგ სახარების ეს თარგმანი ეგზარქოსმა გაგზავნა უწმინდეს სინოდში. იქ გადაწყდა, რომ ტექსტი ორათასიანი ტირაჟით დაებეჭდათ მოსკოვში. მაგრამ რაღაც მიზეზების გამო სახარების ოსური თარგმანი, იოანე იალღუზიძის მიერ შესრულებული, არ დაბეჭდილა.

იოანე იალღუზიძე 1830 წლის 5 აგვისტოს ქოლერით გარდაიცვალა. მის ქვრივს - მარიამ იალღუზიძეს, ქმრის განსაკუთრებული დამსახურების გამო ოსების გაქრისტიანებაში, დაენიშნა პენსია (სცსა, ფ. 16. საქმე 9899, ფ. 9). იოანეს დარჩა სამი შვილი: ერთი ქალი - გათხოვილი და ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსი მამის სიცოცხლეშივე ჩარიცხული იყო სასულიერო უწყებაში, უმცროსი ი. იალღუზიძის სიკვდილის დროს სასულიერო სემინარიაში სწავლობდა (იქვე, ფ. 8).

ი. იალღუზიძის მიერ შედგენილმა ოსურმა ანბანმა, მართალია, საბოლოოდ ვერ მოიკიდა ფეხი ოსეთში, რაც ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო, მაგრამ ამ ანბანის ბედი იოანეს შემოქმედების კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას ჩრდილს ვერ აყენებს.

ი. იალღუზიძის შრომები წარმატებით იქნა გამოყენებული ოსური ენის მეცნიერული გრამატიკის შესადგენად, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდა აკად. შეგერენი. გ. ახვლედიანი აზრით, იალღუზიძის ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ოსური ენის ისტორიისათვის.

ასე რომ, იოანე იალღუზიძე წარმოგვიდგება XIX საუკუნის პირველი მესამედის მნიშვნელოვან საზოგადო მოღვაწედ. ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილმა იოანემ დიდი ამაგი დასდო ოსური კულტურისა და დამწერლობის განვითარებას, ბეჭდვითი ლიტერატურის შექმნას, წერა-კითხვის მცოდნე ოსთა რიცხვის ზრდას.

ლიტერატურა

გ. თოგოშვილი, 1969 - გ. თოგოშვილი, ქართველი და რსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ., თბ., 1969.

ტ. სარიშვილი, 1962 - ტ. სარიშვილი, იოანე იალღუზიდის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა 1770-1830: ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1962.

მ. ბერძნიშვილი, 1983 - მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983.

სცსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი II, საქმე 9899.

Бигулаев Б., Краткая история осетинского письма, Дзауджикау, 1952 г.

Тугкаев Дз., О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе. Изв. ЮОНИИ. В. VII, 1955.

ВЛАДИМЕР ЦВЕРАВА, ЕЛДАР ТАВБЕРИДЗЕ**ИОАНЭ ИАЛГУЗИДЗЕ (1770-1830)**

С 1814-1815 в. "Духовной комиссии Осетии" начинает работать переводчиком осетин по просхождению Иоанэ Иалгузидзе, которому лично царем Картли и Кахети Эрекле II было пожаловано дворянство.

Иоанэ Иалгузидзе получил образование у Иоанэ Цилкнели. Также он был воспитанником Григола -Иоанэ Вагратиона, сыгравшем большую роль в христианизации Осетии.

Из творчества иоанэ нам известно несколько стихотворений и поэма "Алгезиани", написанная на грузинском языке.

Иоанэ Иалгузидзе начал работу в Тбилисской духовной семинарии преподавателем грузинского и осетинского языков для тех учащихся, которые после окончания курсов предположительно отправлялись в Осетию. Во время работы в семинарии он понял действительную необходимость создания осетинской письменности. По этому вопросу он поставил в известность экзарха и попросил содействия. Иоанэ сообщил, что создал осетинской алфавит, состоящий из 37 знаков (литер), среди которых 30-грузинские, 5-новые и 2-русские.

Он просил, чтобы этот алфавит был напечатан для осетинской молодежи дабы она имела возможность учиться на родном языке. В 1821 г. Он издал созданный или алфавит на основе хуцурского.

В 1823 г. Иоанэ Иалгузидзе закончил период Евангелия с использованием своего шрифта, что было одобрено созданной экзархом комиссией, но по неизвестной нам причине не было напечатано Всеблажнейшим.

5 августа 1830 г. Иоанэ Иалгузидзе умер от холеры. Созданный им алфавит не привился в Осетии благодаря политике царского режима, но это не умаляет культурно-исторической значимости деятельности Иоанэ. Созданный или алфавит положил начало осетинской письменности.